AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.201029-001 29.10.2020ნ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „აისი“ ახალქალაქი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. აღნიშნულ პროექტზე თქვენი 2020 წლის 12 მარტის N2-240 გრძანებით, „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი“-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყევტილება.

დეტალური პროექტირების პროცესში, ცვლილებები იქნა შეტანილი ახალქალაქი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქვესადგურ „დილისკა“-სთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) პროექტში, კერძოდ: ელექტროგადამცემი ხაზის 1085 მ სიგრძის მონაკვეთზე, ნაცვლად საჰაერო ხაზისა მოეწყობა მიწისქვეშა საკაბელო ხაზი. პროექტის მიხედვით, ახალქალაქი 1 ჰესის სათავე ნაგებობასთან დაგეგმილია 50 kVA სიმძლავრისა და 35/0.4 კვ ძაბვის სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობა (შესვლა-გასვლა). საპროექტო ცვლილების მიხედვით და დაზუსტებულია „ახალქალაქი ჰესი 1“ და „ახალქალაქი ჰესი 2“ დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის მარშრუტი და განთავსების პირობები.

დამატებით, ახალქალაქი ჰესის დეტალური პროექტის მომზადების პროცესში დაზუსტებული იქნა პროექტის გავლების ზონაში მოქცეული ტერიტორიები, რომლებისც არ იყო ასახული გზშ-ში.

აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის მიხედვით წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი“-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:
ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი“-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge – hsabouri@ais-georgia.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№17060
"30" 10 2020
2/2
+ 02 +

მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საპროექტო დერეფნის კორექტირებული GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - CD დისკზე;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აისი"-ს რეგისტრაციის თაობაზე.
პატივისცემით,

თეიმურაზ მათითაშვილი
შპს „აისი"-ს დირექტორი

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge – hsabouri@ais-georgia.ge